



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 41/23

2023 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

„ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹, 106² და 106⁵ მუხლების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 27 სექტემბერი, 18:00 საათი.
3. „ელექტროენერგეტიკის სექტორში ტარიფებისა და საფასურების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბერი.

4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცნობის კომისიის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს.

8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

დავით თვალაბეიშვილი

კომისიის წევრი

